

# აღაშენებლის ქუჩაზე დეკორატიული მუხა ემენის ჯიშის ხე-მცენარით ჩანაცვლდა



**ალიონი.** ემენის გასულ თვეში ჭავჭავაძის ქუჩაზე გაშენდა, ამჯერად კი მოსახლეობის მოთხოვნის საფუძველზე, მისი დარგვა აღმაშენებლის ქუჩაზე მიმდინარეობს. გარდა ვიზუალური მხარისა, ემენის ადვილად ეგუება დას-

ავლეთის კლიმატს, გაცილებით პრაქტიკულია მოვლის თვალსაზრისით და მთლიანად ცვლის ქუჩის ვიზუალურ მხარეს. „მას შემდეგ რაც ემენისის ჯიშის მცენარეები ჭავჭავაძის ქუჩაზე დაფრგო, აღნიშნულმა ნარგავებმა მოსახლე-

ობაში ძალიან დიდი მოწონება დაიმსახურა. ამიტომ აღმაშენებლის ქუჩის მცხოვრებლებმაც ითხოვეს მათი ქუჩის იგივე მცენარით გამწვანება. შესაბამისად, ჩვენ გავითვალისწინეთ მოსახლეობის თხოვნა. გარდა იმისა, რომ ეს მცენარე ყინვაგამძლე და ვიზუალურად ეფექტურია, ადვილია მოსავლელადაც და მისთვის სასურველი ფორმის მიცემა მარტივია. მოგეხსენებათ, რომ ხსენებული ქუჩა ქალაქის ცენტრალური შემოსასვლელია, ის ქალაქის ერთგვარი სავიზიტო ბარათი გახლავთ და კმაყოფილი ვარ, რომ ამ ქუჩის სრულიად შეცვლილ და განახლებულ იერსახეს ემენისი ძალიან მოუხდა, - აღნიშნა ქალაქის მერმა **ბეკლარ სიორიძე**.

# მგლების სალიკვიდაციო ოჯახების მუნიციპალიტეტში 7-8-კაციანი საშუალო ჯგუფი შეიქმნება

**ალიონი** იმ მგლების სალიკვიდაციო, რომლებიც მოსახლეობას ზარალს აყენებენ, ოჯახების მუნიციპალიტეტის გამგეობაში 7-8-კაციანი საშუალო ჯგუფი შეიქმნება. ეს ინფორმაცია 6 აპრილს „ალიონთან“ საუბარში ოჯახების მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილემ არჩილ ყაზაიშვილმა დაადასტურა. „გარემოს დაცვის სამინისტროდან მონიჭებული დედეგებით მოგვცა უფლება, მოვახდინოთ მგლების ლიკვიდაცია იმ ადგილებში, სადაც ეს ნადირი მოსახლეობას ზარალს და ზოგჯერ თავსაც კი ესხმის. მგლების

ლიკვიდაციას მოახდენს სპეციალური საშუალო ჯგუფი, რომელიც მუნიციპალიტეტის გამგეობაში ამ დღეებში შეიქმნება. უნდა გითხრათ, რომ სალიკვიდაციო მგლების რაოდენობა ლიმიტირებულია, წლეულს 31 ოქტომბრამდე მხოლოდ 6 მგლის მოკვლის უფლება გვაქვს. საშუალო ჯგუფი მოვალეობის შესრულებას მუნიციპალიტეტის დასავლეთით მდებარე ტერიტორიული ერთეულებიდან დაიწყებს“, - გვითხრა არჩილ ყაზაიშვილმა. კარგად გვესმის, რომ მგელი ტყის სანიტარია და მისი მასობრივი განადგურების მომხრე არანაირად არ

ვართ, მაგრამ, არა გვეკონია, 6 მგლის ლიკვიდაციით საქმეს ეშველოს. თანაც მგლების ლიკვიდაცია მხოლოდ დასავლეთის დაბლობ ადგილებში იგეგმება (კონჭკათი და მიმდებარე სოფლები), მაშინ, როცა, ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, მგლები დანარჩენი სამი მიმართულებით მდებარე ტერიტორიულ ერთეულებშიც არანაკლებ საფრთხეს უქმნიან მოსახლეობას. მაგალითად, ბოლო პერიოდში მგლის უშუალოდ მოსახლეობაში შეჭრის არაერთი ფაქტი დაფიქსირდა მთისპირსა და ბაილეთში.



# ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამომოს  
1931 წლის  
5 იანვრიდან

**საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.**

ქოველკვირეული გამომშვება. №15 (10156), 11 აპრილი, 2016 წ. შპსი 50 თეთრი.

## „მარულა“ ბიუჯეტს 150 ათასი ლარი აზარალა

**ალიონი.** ოჯახების მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე დეპუტატებმა, წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილების ფინანსური უზრუნველყოფისათვის, სხვადასხვა კაპიტალური ხარჯებიდან 150 ათასი ლარის გამოყოფას დაუჭირეს მხარი. როგორც გაირკვა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი შპს „მარულას“ გამოდაზარალდა. „მარულას“ თემა რამდენიმე წელია ხშირად გაისმოდა საკრებულოს სხდომებზე, მაგრამ კრიტიკას მაინც „მარულასადმი“ მხარდაჭერა მოჰყვებოდა. ამჯერად ვალის დასაფარავად, ბინათმშენებლობათა ამხანაგობისა და მოქალაქეთა ქონების რეგისტრაციის ხელშეწყობას 45-45 ათასი ლარი ჩამოაკლეს; კეთი-

ლმოწყობის ღონისძიებებს და კიდევ ერთ აქტივობას 30-30 ათასი ლარი. — შპს „მარულა“ მუნიციპალიტეტისაა, თუ არ გადავიხდით, ყოველთვიურად 1100 ლარი საურავი დაგვერიცხება. სწორედ ამ საურავებმა გაზარდეს თანხა — განაცხადა მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **გია მამაკაიშვილმა**. — არაკომპენტეტურობისა და გულგრილობის გამო ბიუჯეტმა ხალხის ფული უნდა გადაიხადოს. იმის გამო, რომ წლიური დეკლარაცია არ შეავსეს, შემოსავლების სამსახურის რევიზიამ კონკრეტული დარღვევები დადო. ასეთი რამ იურიდიულ და აუდიტის სამსახურებს უნდა შეეჩინათ. ამ თანხის გადახდის შემდეგ შესაძლებელი იქნება „მარულას“ ლიკვიდაცია — განაცხადა

## მხოლოდ ოჯახების მუნიციპალიტეტში საკრებულოს სხდომა პირდაპირი ტრანსლირების რეჟიმში



ეფექტიანი მმართველობისა და მოქალაქეთა ჩართულობის ინოვაციური მექანიზმების განხორციელების მიზნით, ოჯახების მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა 6 აპრილს პირდაპირი ტრანსლირების რეჟიმში წარმართა. სხდომის მიმდინარეობისას, ოჯახების მუნიციპალიტეტის ხუთი სოფლის - ლიხაურის, ბახვის, თხინვალის, მელექედურისა და კონჭკათის მოსახლეობას შესაძლებლობა მიეცა, ამავე სოფლებში უკვე არსებული საზოგადოებრივი ცენტრებიდან მონაწილეობა მიეღ-

ოთ მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაში. საკრებულოს დეპუტატებმა დღეს ოჯახების მუნიციპალიტეტის გამგეობის სტრუქტურული დანაყოფების ხელმძღვანელების ანგარიშები მოისმინეს და თითოეული რგოლის მიერ ერთი წლის განმავლობაში გაწეული საქმიანობა შეაფასეს. მოსახლეობა სხდომას თვალს ინტერნეტის საშუალებით ადევნებდა. პროექტი „ეფექტიანი მმართველობისა და მოქალაქეთა ჩართულობის ინოვაციური მექანიზმი“ პირ-

ველად, საქართველოს რეგიონების სინამდვილეში, მხოლოდ ოჯახების მუნიციპალიტეტში განხორციელდა. ინტერნეტის საშუალებით, მოქალაქეთა მონაწილეობის უმთავრესი მიმართულებებია: ინფორმირებულობა, გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობა, საზოგადოებრივი კონტროლის განხორციელება, - სამოქალაქო საზოგადოების გააქტიურება. „მართე სახლიდან“ შემდეგ, ოჯახების მუნიციპალიტეტი გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრის

კიდევ ერთი, ახალი პროექტის „ეფექტიანი მმართველობისა და მოქალაქეთა ჩართულობის ინოვაციური მექანიზმების - განხორციელება“ პარტნიორია, რომლის ფარგლებშიც 5 სოფლის - ლიხაურის, ბახვის, თხინვალის, მელექედურისა და კონჭკათის მოსახლეობას საშუალება აქვთ, საზოგადოებრივი ჩართულობის ცენტრებიდან ჩართონ, დასვან შეკითხვები და უშუალოდ მიიღონ ინფორმაცია მათთვის მნიშვნელოვან საკითხებზე.



### გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

- მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;
- მე-3-7 (თითოეული 810 კვ.სმ) მთლიანი გვერდებისა - 150-150 ლარი;
- 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;
- ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;
- შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.
- პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;
- მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 20 ლარი;
- სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
- გახსენება, ნეკროლოგი - სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 50 თეთრი,  
ხელმოწერა:  
ერთი თვით - 2 ლარი,  
სამი თვით - 6 ლარი,  
6 თვით -12 ლარი,  
ერთი წლით - 24 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს. ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე. რედაქციამ აუდიონანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება. რედაქცია ავტორებისგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას. გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

**სარეკლამო მომსახურება**  
რედაქტორი  
**ნუგზარ ასათიანი**  
nugzarasatiani@rambler.ru  
558 499100

**საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:**  
**თემურ მარშანიშვილი**  
tem52@mail.ru  
599 373515

**კომპიუტერული უზრუნველყოფა**  
**გიორგი გოგოლაძე**  
gia\_77@mail.ru  
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3  
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311  
გაზეთი იბეჭდება გამოცემლობა „მერიდიანში“  
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

## „მარულამ“ ბიუჯეტს 150 ათასი ლარი აზარალა

საკრებულოს სხდომაზე საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე დიმიტრი კვერდელიძემ. —ამ თანხით კარგი პროექტი გაკეთდებოდა. აბსურდული სამართალმემკვიდრეობისა და ვილაც პიროვნებების დაუდევრობის გამო, ხალხის ფული იხარჯება არაფერში. ამ ადამიანებმა, რომლებსაც ამ დანაშაულში წვლილი მიუძღვით, პასუხი უნდა აგონ ბიუჯეტის წინაშე, ხოლო მსგავსი შპს-ები უნდა გაფრთხილდნენ. მართალია ბიუჯეტს გადარიცხული თანხიდან 100 ათასი ლარი უკან დაუბრუნდება, მაგრამ დანარჩენი ხომ იზარალა ადგილობრივმა

ბიუჯეტმა—განაცხადა გაზეთ „ალიონთან“ დიმიტრი კვერდელიძემ. —ამჟამად შექმნილია სკორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ. ჩვენს საცხენოსნო კლუბს ბიუჯეტის არანაირი დავალიანება არ გააჩნია. ეს შპს „მარულას“ წინა წლების დაგროვილი დავალიანებაა, რომელიც მათ სახელმწიფოსთვის საარენდო თანხის გადახედვლობის გამო დაუგროვდა—გვითხრა საცხენოსნო კლუბის ამჟამინდელმა ხელმძღვანელმა ავთანდილ მარტიკოვამ.

## გია სალუქვაძე დაცული ტერიტორიების სააგენტოს წარმომადგენლებს უხვდა



გურიის გუბერნატორი გია სალუქვაძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებელთან ზაზა ურუშაძესთან ერთად, სსიპ „დაცული ტერიტორიების სააგენტოს“ თავმჯდომარეს ლაშა მოისწრაფიშვილს შეხვდა. შეხვედრაზე კოლხეთის ეროვნული პარკის ლანჩხუთის უბნის ტერიტორიის პრობლემის გადაჭრის გზებზე იმსჯელებს.

ლო პარკის ადმინისტრაციის დირექტორი ალექსანდრე ხაბიშვილი, ამავე ადმინისტრაციის ბუნებრივი რესურსების სპეციალისტი გელა ინგოროყვა, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ხელაძე და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები დაესწრნენ. როგორც გუბერნატორი აცხადებს ამ მიმართულებით სამომავლოდ კონკრეტული ნაბიჯები გადაიდგმება. „დაცული ტერიტორიების სააგენტოს“ წარმომადგენლებთან საკმაოდ ნაყოფიერი შეხვედრა გვექონდა. ადგილობრივი მოსახლეობა ეროვნული პარკისათვის ტერიტორიის გადაცემაზე პროტესტს გამოთქვამდა. შეთანხმდით ურთიერთთანამშრომლობაზე და ჩვენ მივალწვეთ იმ შედეგს, რომ ტერიტორიაც დაცული იქნება და მოსახლეობის ინტერესებიც მაქსიმალურად გათვალისწინებული“ - აღნიშნა გია სალუქვაძემ

## მხიმი მფარმეოზის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში ბიზნეს იდეების წარმომადგენლის მხრივ რაუნდი დასრულდა

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ გამოცხადებულ კონკურსში, რომელიც გულისხმობს მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობას - ბიზნეს იდეების წარმოდგენის მქონე რაუნდი დასრულდა. გურიის გუბერნატორის გია სალუქვაძის დავალებით აღნიშნული პროგრამის წარმატებით განხორციელებისათვის გუბერნია ინტენსიურად მუშაობდა. ადმინისტრაციის თანამშრომლები სამინისტროსთან კოორდინირებული მუშაობით, მცირე მეწარმეებსა და იდეების მქონე დაინტერესებულ პირებს აქტიურ კონსულტირებას უწევდნენ, რამაც პირველ ეტაპზე ათეულობით ბენეფიციარს სერიოზული შედეგი მოუტანა. ჯამში დახმარება 140-მდე ბენეფიციარს გაუწია, რომლებიც საუკეთესო იდეის ავტორების გამოვლენის შემდეგ მორეკომენდებული გახდნენ. გათვალისწინებულ ორ დღიან ტრენინგებს, სადაც შეისწავლიან ბიზნეს

გეგმისა და პროექტის მომზადებას, ბიზნეს გეგმის დაწერის შემდეგ მოხდება საუკეთესოს შერჩევა და სააგენტოსთან ხელშეკრულების გაფორმება, რის შემდეგაც ისინი დაფინანსდებიან. შეგახსენებთ, რომ 2014 წლის ივნისიდან საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ დაიწყო ასალი სამთავრობო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ განხორციელება, რომელიც მიმართულია წარმოების შემდგომი განვითარებისა და წახალისებისკენ. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, საქართველოს მსსმტ-ით დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა ეძლევათ, მოიპოვონ თანადაფინანსება იდეის განსახორციელებლად (5000 ლარამდე 1 მეწარმე; 10 000 ლარამდე ორი მეწარმე; 15 000 ლარამდე სამი მეწარმე

## მადლობა მამა ნოეს

მადლობას კუხდი წმიდა გიორგის სახელობის ექაღიის ტაძრის მოძღვარს, მამა ნოე გოგიტაურს, რომელიც გვერდით გვიდგას და გვეხმარება

ჩვენი გასაჭირის დაძლევაში. უფალმა შეაძლებინოს კვლავაც ბევრი სიკეთის კეთება. მადლიერებით, ლამარა ფრანგულაშვილი.

## პარლამენტარებმა ოზურგეთელს საკონსტიტუციო ცვლილებასთან დაკავშირებით კანონპროექტი წარმოუდგინეს

ალიონი. 2 აპრილს, ქალაქ ოზურგეთში, დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილე მანანა კობახიძემ, პარლამენტის წევრებმა გიორგი ვოლსკიმ და გიორგი გაჩეჩილაძემ, ასევე, საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის წევრმა, რეჟისორმა მერაბ თავაძემ ოზურგეთელებს საკონსტიტუციო ცვლილებასთან დაკავშირებით კანონპროექტი წარმოუდგინეს. შეხვედრას ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი ბეგლარ სიორიძე, გურიის მხარის გუბერნატორის

ქორწინება და ეს მკაფიოდ უნდა გაიწეროს კონსტიტუციის დონეზე. „საკმაოდ საინტერესო შეხვედრა შედგა. ოჯახი არის ქალისა და მამაკაცის ერთობა, საზოგადოების უმრავლესობა ამ აზრს უჭერს მხარს და დისკუსიაც შესაბამისად წარიმართა“— განაცხადა ქალაქის მერმა, ბეგლარ სიორიძემ. კანონპროექტის გამოქვეყნებისა და მისი საჯარო განხილვის მიზნით პარლამენტში სპეციალური კომისია შეიქმნა, რომლის წევრებიც საქართველოს მოსახლეობას კანონპროექტის არსს აცნობენ.



მოადგილეები, საჯარო მოხელეები და საზოგადოების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. კანონპროექტის თანახმად, საქართველოს კონსტიტუციის 36-ე მუხლში ცვლილება შედის, რომლის მიხედვით, ქორწინება არის ოჯახის შექმნის მიზნით ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირი. როგორც მანანა კობახიძემ შეხვედრაზე განაცხადა, ვინაიდან მთელ რიგ ქვეყნებში კანონის დონეზე დაშვებულია ერთი სქესის მქონე ადამიანთა ქორწინება, საზოგადოების გარკვეული ნაწილი ეჭვობს, რომ იგივე ცვლილებები შიდა კანონმდებლობაშიც განხორციელდება. სახელმწიფოს მხრიდან აღიარებულია სწორედ ქალსა და მამაკაცს შორის

აღნიშნული კანონპროექტი დეპუტატთა უმრავლესობის ინიცირებით შეიქმნა და მის მიღებას 113 ხმა სჭირდება. თუ კანონპროექტს პარლამენტი მხარს არ დაუჭერს, ამ შემთხვევაში ქვეყანაში რეფერენდუმი ჩატარდება. მსატყვარამ ვანტანგ მამეიშვილმა ქ. ოზურგეთში, ყოფილი მანქანათმშენებელი ქარხნის ტერიტორიაზე შპს „ჯეოვადამამუშავებლის“ მიერ ტყვიის გადამამუშავებელი საწარმოს აგების მიზანშეწონილობის შესახებ დასვა კითხვა პარლამენტარებს. ამ თემამ შეხვედრის დამთავრების შემდეგაც კპოვა გაგრძელება და თავიანთი მხარდაჭერა გამოხატეს ოზურგეთელების მიმართ დეპუტატებმა გია ვოლსკიმ და გია გაჩეჩილაძემ.

## ქალაქ ოზურგეთში სატვირთო ავტომობილების გადაადგილების უფლებზე იბეჭდება

ქალაქ ოზურგეთში საგზაო მოძრაობაში ცვლილებების შეტანა იგეგმება. მათგან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქალაქში სატვირთო ავტომობილების გადაადგილების შესუღვდა. სატვირთო ავტომობილები ქალაქის შემოვლითი გზებით ისარგებლებენ. დღეს ქალაქის მერმა ბეგლარ სიორიძემ საპატრულო პოლიციის წარმომადგენელთან და ქალაქის მერიის შესაბამისი სამსახურის ხელმძღვანელებთან ერთად ქალაქის ცენტრალური ქუჩები მოინახულა, სადაც საგზაო ნიშნების განთავსება იგეგმება. საპატრულო პოლიციის წარმომადგენელი იმ სამუშაო ვეგუფის წევრია, რომელიც ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიასთან ბეგლარ სიორიძის ინიციატივით შეიქმნა. აღნიშნულ ვეგუფში

სხვადასხვა სახელმწიფო უწყების წარმომადგენლები შედიან და მისი მიზანი ქალაქისთვის მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით ოპერატიული, კოორდინირებული მუშაობა და საზოგადოების ინტერესების შესაბამისი, ეფექტური შედეგის მიღებაა. საგზაო ნიშნების სქემაზე ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებთან ერთად აღნიშნული ვეგუფი იმუშავებს. მოძრაობის წესების ასალი რეგულაციები მაქსიმალურად უსაფრთხოს გახდის ქვეითთა გადაადგილებას, ასევე, დაარეგულირებს ავტომობილების მოძრაობას. შემუშავებული სქემა დასამტკიცებლად ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უახლოეს მომავალში წარედგინება.

## „ნატოს“ პროგრამის ფარგლებში

ალიონი. გასულ პარკვეს „ნატოს“ კვირეულის ფარგლებში ჩატარდა სპორტული გარბენი „ნატოს“ თასი, რომელშიც 40-მდე მოსწავლე მონაწილეობდა. ვაჟებში პირველი მივიდა ფინიშთან ამირან თავართქილაძე (მე-4 საჯარო სკოლა); მე-2 გიორგი დეკანოიძე (მერია),

ხოლო მე-3 ნიკა მსხალაძე (მე-3 საჯარო სკოლა) იყვნენ. გოგონებში ასევე მოთხესკოლემა მარი კანთელაძემ გაიმარჯვა; მე-2 და მე-3 ადგილებზე №5 საჯარო სკოლის მოსწავლეები ლიკა მჭავანაძე და თამთა სალუქვაძე გავიდნენ. მიუწყო გამარჯვებულთა საზეიმო დაჯილდოება.

დაიხეეთ ყოველი ოჩხაბათი აციონზე  
«ალიონით»

თვალსაზრისი

# პარლამენტარტა პოიაჟი ოზურბეთში და ოქსიემრონი

პარლამენტარტა „მოლვაწობა“ საკანონმდებლო ორგანოში ჭრიჭინობელას ცხოვრებას ჰგავს. არჩევნებიდან - არჩევნებამდე ლაღი ცხოვრებით ატარებენ დროს და როცა „ზამთარი“ ანუ ახალი არჩევნები მოახლოვდება იწყება ფიქრი სტატუსის შესანარჩუნებლად. ფიქრი, რომელსაც ზოგჯერ თან ახლავს „სირცხვილის სიწითლე“, ხოლო უმეტესად, თავდაჯერებულებს მიაჩნიათ, რომ მათი „მოლვაწობა“ ქვეყნის გარდაქმნის პროცესში ისეთი ხანგძლივი და მრავალსომცველი იყო რომ უყოფმანოდ იმსახურებენ ხანგძლივ საპარლამენტო მოლვაწობას, შესაბამისად ამომრჩეველთა ხმებს. ნაწილი ფიქრობს ახალი პრობლემების დაყენებით და მათი მოგვარების დაპირებით შეძლებენ ამომრჩეველთა გადმობრებას და იწყება ვოიაჟი რეგიონებში; პარლამენტარტა ოქსიემრონი საკუთარი პიარის შექმნისა და მოლვაწობის შემდგომი გაგრძელებისათვის.

3 მარტს, ოზურბეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში, საქართველოს პარლამენტის ინიციატივით გაიმართა საკონსტიტუციო შესაძლო ცვლილების განხილვა ოჯახის დეფინიციასთან დაკავშირებით. საზოგადოების წინ-

აშე წარდგინენ პარლამენტარტები: მანანა კობახიძე, გიორგი ვოლსკი და გიორგი გაჩეჩილაძე. ქალბატონმა მანანა კობახიძემ განმარტა, რომ განსაზღვრულია საქართველოს კონსტიტუციის 36 მუხლის პირველი პუნქტის ცვლილება შემდეგი რედაქციით - „ქორწინება არის ოჯახის შექმნის მიზნით ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირი, რომელიც ემყარება მეუღლეთა უფლებრივ თანასწორობას“. ბუნებრივია, იბადება კითხვა, რატომ დადგა, ამჟამად, დღის წესრიგში კონსტიტუციაში ასეთი ცვლილების შეტანა, ისეთ პირობებში, როცა „ქართულ ოცნებაში“ შემავალ პარტიებმა გამოაცხადეს არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობის სურვილი, ამასთან „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭომ უკვე განიხილა ეს საკითხი და ტელეკრანიდან ბატონმა დავით უსუფაშვილმა განაცხადა - „მე, როგორც პარლამენტის თავმჯდომარე, უფლება არ მაქვს განსახილველად არ მივიღო ასეთი საკითხი, მაგრამ როგორც დეპუტატი მხარს არ დავუჭერ აეთ ცვლილებას“. ასევე წინააღმდეგია მხარი დაუჭიროს მსგავს წინადადებას ნაციონალური მოძრაობა და ზოგიერთი მაჟორიტარი დეპუტატი. აქედან გამომდინარე, ოზურბეთში ჩამოსულმა დეპუტატებმა უკვე იც-

იან, რომ პარლამენტში ცვლილებისათვის საჭირო 113 ხმა არ მოგროვდება და მაინც მიდის „თამაში“. ეს პრობლემა ახალი არაა. ამომრჩეველებმა იციან, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1106-ე მუხლის ფორმულირება „ქორწინება არის ოჯახის შექმნის მიზნით ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირი, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში (შემდგომში - სააგენტოს ტერიტორიული სამსახური)“. არ ასახავს საქართველოს კონსტიტუციის 36-ე მუხლის პირველი პუნქტის ფორმულირებას, რომლის თანახმად „ქორწინება ემყარება მეუღლეთა უფლებრივ თანასწორობასა და ნებაყოფლობას.“ ამომრჩეველებმა ისიც კარგად იციან, რომ აღნიშნული პრობლემა პირველად საკონსტიტუციო სასამართლოს წინაშე დააყენა „ლეგალ“-ს მესვეურებმა, რომლებმაც მოითხოვეს სამოქალაქო კოდექსის კონსტიტუციასთან მისადაგება, რადგან პარლამენტარტებისაგან განსხვავებით, მათ გათვითცნობიერებული აქვთ, რომ კონსტიტუცია კი არ ესადაგე-

ბა კანონს, არამედ კანონი უნდა მიესადაგოს ქვეყნის უმაღლეს კანონს. მე, რიგით ამომრჩეველს მიმაჩნდა, რომ პარლამენტში მუშაობა არის კანონშემოქმედება, ანუ დამდგარი პრობლემის შესწავლა, განალიზება, გარკვეული მოსაზრების სახის მიცემა და ა.შ. საწყენია, როცა „ლეგალ“-მ დაიცვა პრობლემის მოგვარებისას პრინციპი - მიღებული კანონი უნდა მიესადაგოს კონსტიტუციით დადგინდ ნორმებსა და პრინციპებს, ხოლო პარლამენტარტებმა დაიწყეს კონსტიტუციის კანონთან მისადაგება, ფაქტიურად და ფორმალურად, რადგან იციან, რომ 113 ხმის შეგროვება შეუძლებელია, ანუ სახეზეა ამომრჩეველის თვალის ახვევის კლასიკური მაგალითი.

ვისარგებლოთ კონსტიტუციის 66-ე მუხლით განსაზღვრული ნორმებით და ცვლილება შეტანილიქნას საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1106-ე მუხლში შემდეგი რედაქციით „ქორწინება არის ოჯახის შექმნის მიზნით ქალისა და მამაკაცის (შემდგომში მეუღლეთა) ნებაყოფლობითი კავშირი, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს

იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში (შემდგომში - სააგენტოს ტერიტორიული სამსახური)“. ასეთი ცვლილება განმარტავს საქართველოს კონსტიტუციის 36-ე მუხლში მეუღლის ცნებას, ამასთან პარლამენტს ამჟამინდ პირობებშიც კი არ გაუჭირდება შეაგროვოს ქვორუმი 66-ე მუხლის თანახმად, შეიტანოს ცვლილება და დამთავრდება ის ვნებათაღელვა, რომელიც ქართული ტრადიციის შესაძლო იგნორირებამ გამოიწვია. არაა საჭირო ზედმეტი ვოიაჟები, რეფერენდუმის ჩატარებისათვის ზედმეტი ხარჯების გაღება, რომელიც სხვა მნიშვნელოვან ღონისძიებებს შეიძლება მოვახმაროთ.

**გურამ ბარამიძე**,  
ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატი

**P.S.** ნუ ჩათვლით, რომ ჩემი გვარის ქვეშ არსებულ ლეგალია რუსული გავლენის შედეგია.

## სამეცნიერო ოზურბეთელი მკითხველისათვის

### ტყვიის, როგორც მკითხველის, ტოქსიკური ზემოქმედება ადამიანის ორგანიზმზე

ადამიანის ორგანიზმისათვის ტყვიის ტოქსიკურობა დიდი ხანია ცნობილია და გამოწვეულია მეტალური ტყვიით, მისი შენადნობით და ორგანული შენაერთებით, რომლებიც ცნობილი არ არიან ბუნებაში და წარმოადგენენ ტექნოგენების ტიპურ პროდუქტებს. ტყვია ადამიანის ორგანიზმში აღწევს ფილტვების გავლით, სასმელი წყლისა და საკვების მეშვეობით.

განსაკუთრებით საშიშაა ტყვიის აეროზოლები, რომლებიც წარმოადგენენ მისი მიგრაციის ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ ფორმას. დადგენილია, რომ ტყვიის ხანგრძლივ ჩასუნთქვას თვით 0,00002-0,00005 მგ/ლიტრზე კონცენტრაციითაც კი, შეუძლია გამოიწვიოს პოლინეროზული სენსორული გაღიზიანება.

სხვადასხვა ავტორის მონაცემებით, ადამიანისათვის ტყვიის მინიმალური ტოქსიკური კონცენტრაცია შეადგენს 0,04 მგ/ლიტრზე. სახელმწიფო სტანდარტს (GOST) სასმელ წყალში დასაშვებად მიაჩნია მეტალის 0,1 მგ/ლიტრზე შემცველობა. ამასთანავე, ზოგიერთ საერთაშორისო სტანდარტს დასაშვებად მიაჩნია წყალში ტყვიის უფრო მაღალი შემცველობა.

როგორც ჩანს, ტყვიის კონცენტრაციის დასაშვები დონა შესაძლებელია რამდენიმე იცვლებოდეს გარემომცველი გარემოს დაბინძურების საერთო დონისა და კონკრეტული ფიზიკურ-გეოგრაფიული მდგომარეობის შესაბამისად.

ადამიანის ორგანიზმის ინტოქსიკაციის მარკერებად ითვლება ტყვიის შემცველობა სისხლში 0,03 მგ/ლ და შარდში - 0,06 მგ/ლ. **ტყვიით მოწამლის კლინიკური სიმპტომები:** ანემია, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაზიანე-

**ბა, დალილიობის მატება, ორგანიზმის დაძაბუნება, ღვიძლისა და თირკმლის დაავადება.**

ტყვიით ინტოქსიკაციის შეწყვეტის შემდეგ ადამიანის სისხლსა და შარდში კიდევ დიდი ხნით, რამდენიმე კვირიდან რამდენიმე თვემდე რჩება მისი მაღალი შემცველობა. ორგანიზმში დაგროვილი ტყვიის გამოყოფის დრო შეადგენს რამდენიმე წელს.

როგორც სხვა მძიმე მეტალები, ტყვიაც კუმულაციური საწამლაია, რომელსაც უნარი აქვს თანდათანობით დაგროვდეს ორგანიზმში. ის გროვდება (ილექტება) ძვლებში, სადანაც ისევე შეიძლება გადავადეს სისხლში, გროვდება ღვიძლში, თირკმელში, თმებსა და ფრჩხილებში.

ტყვიის, ისევე როგორც მძიმე მეტალების ჯგუფის სხვა წარმომადგენელთა ტოქსიკურობა დაკავშირებულია იმასთან, რომ მათი იონები ერევიან რა რკინის, სპილენძის და თუთიის კათიონებს ფერმენტულ ცილათა მოლეკულების შიდა კომპლექსურ შემადგენლობებში, ბლოკირებას უკეთებენ ფერმენტთა აქტიურ ცენტრებს, იწვევენ ცილის კომპლექსების დაღეჭვას.

შინაური ცხოველების საკვებში ტყვიის დონების მაღალ შემცველობას მიეყვარება ტყვიით მწვავე მოწამლამდე ტყვიის სასიკვდილო დონა ცხენისა და ძაღლისათვის შეადგენს 100მგ/კგ საკვების მშრალ წონაზე გადაანგარიშებით.

ტყვიის კონცენტრაცია საკვებ პროდუქტებში (ხორცი, თევზი, ბოსტნეული, ხილი), რომლის დროსაც შეიმჩნევა ადამიანის ორგანიზმის მწვავე მოწამლის სიმპტომები, მერყეობს 185-936 მგ/ ფარგლებში. ამ დროს ტყვიის შემცველობა სისხლში აღწევს 0,8 მგ/ლ.

ადამიანის ორგანიზმზე ტყვიის ტოქსიკური ზემოქმედების მერყეობა, გარდა ტექნიკური მიზეზებისა, აისხნება ინდივიდუალურ თავისებურებებთან დაკავშირებული ორგანიზმის სხვადასხვა მდგარლობით.

**ტყვია ხასიათდება საერთო ტოქსიკური ეფექტითაც, რაც გამოიხატება ნერვული სისტემის დაავადებით და მთელი რიგი სპეციფიკური - სკლეროზული, გონალოტროპული, ემბრიტროპული და მუტაგენური ეფექტებით.**

ტყვია უარყოფითად მოქმედებს ადამიანის ორგანიზმის აღდგენით ფუნქციაზე და ადამიანური ურთიერთობების სქესობრივ სფეროზე, განსაკუთრებით აძაბუნებს რა მამაკაცის ორგანიზმს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დასკვნა ასეთია: ტყვია წარმოადგენს განსაკუთრებულად მნიშვნელოვან საშიშროებას ადამიანთა ახლანდელი და მომავალი თაობების ჯანმრთელობისათვის

თარგმნა **ოზარ ბაპურაძე**

**p.s** ჩვენს საზოგადოებაში ჯერ კიდევ მრავლად მოიპოვება „ურწმუნო თომას“ მსგავსი ადამიანები, რომლებსაც სჯერათ ანდა თავს იტყუებენ, რომ ტყვია, როგორც მაღალტოქსიკური მძიმე მეტალი, მათ ჯანმრთელობაზე უარყოფით ზეგავლენას ვერ მოახდენს. სწორედ ამ შეხედულების გადაფასების მიზნით გთავაზობთ ამ მასალას, რომელიც მოზადებულია გრივით სამსახურებრივი სარგებლობისათვის გამოცემული ა. ნაზაროვის ნარკვევის მიხედვით „მძიმე მეტალების თანამედროვე მიგრაცია ბიოსფეროში“, მოსკოვი, 1980.

ო. ბ.

## ქალაქ ოზურბეთის მოსახლეობის საზურაღლებოდ!

ქალაქ ოზურბეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 7 ნოემბრის 35-ე დადგენილების შესაბამისად, ქალაქ ოზურბეთში მცხოვრები მოსახლეობისათვის დასუფთავების სავალდებულო მოსაკრებლის გადახდა შესაძლებელია ფეიბოქსისა და ნოვას სწრაფი ჩარიცხვის აპარატების საშუალებით, რომლებიც ქალაქის შემდეგი ქუჩების ობიექტებთანაა განთავსებული:

- გურიის ქუჩა - საიუველირო მაღაზიასთან;
- ეპისკოპოსის ქუჩა - სუპერმარკეტ „ნიკორა“-ს მიმდებარედ;
- წულაძის ქუჩა - აფთიაქ „იმპექსი“-ს მიმდებარედ;
- თაყაიშვილის ქუჩა 7-ში;
- 9 აპრილის ქუჩა („ენერჯო პრო ჯორჯია“-ს ოფისის პირველ სართულზე);

ელექტრონერგისა და დასუფთავების ქვითრების სააბონენტო ნომერი ერთი და იგივეა, თუმცა დასუფთავების მოსაკრებლის გადახდა უნდა მოხდეს ცალკე.

აბონენტებს გაურკვევლობის გამო გააჩნია დასუფთავების მოსაკრებლის დიდი დავალიანება, რაც არის კანონის დარღვევა და ითვალისწინებს ადმინისტრაციული ღონისძიებების გატარებას.

გთხოვთ იხელმძღვანელოთ აღნიშნული ინფორმაციით! დამატებითი ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ ცხელ ხაზზე;

ტელ: 595 77 38 44

# საკრებულოს სხდომაზე პირითადი საკითხები მუნიციპალიტეტის სამსახურების ანგარიში იყო



**ალიონი.** თემების მუნიციპალიტეტის საკრებულოს 6 აპრილის სხდომაზე განსახილველი 15 საკითხიდან 9 მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სამსახურის ანგარიში იყო.

სხდომის დასაწყისში პროექტის „მართე სახლიდან“ ფარგლებში მოეწყო ტელეჩართვები რამდენიმე სოფლიდან.

თავდაპირველად 2015 წელში გაწეული მუშაობის ანგარიში მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსმა ხათუნა სურგულაძემ წარმოადგინა.

უნდა აღინიშნოს, რომ ანგარიში იყო კონკრეტული, ამ სამსახურის მუშაობის ყველა სფეროს მოიცავდა.

გამომსვლელმა აღნიშნა, რომ ამჟამად გამოცხადებულია ვაკანსია 3 საშტატო ერთეულზე; მუნიციპალიტეტი ახალი ვებ-გვერდის შექმნას გეგმავს. რაც შეეხება საჯარო ინფორმაციებს, იგი დროულად მიეწოდებოდა ყველას, მათ შორის საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირს, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას.“ „ნაციონალისტების“ ადგილობრივი ორგანიზაციის თავმჯდომარე დავით მჭავანაძემ მადლობა გადაუხადა სალუქვაქაეს საჯარო ინფორმაციების შეუფერხებელი მიწოდებისთვის.

შემდეგი გამომსვლელი მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი გია მამაკაიშვილი იყო.

შარშან 16 თუ 17 ცვლილება შევიტანეთ 2015 წლის ბიუჯეტის პროექტში, აქედან უმრავლესობა მთავრობის დადგენილებებს შეესაბამებოდა. ჩვენ ვითვალისწინებდით სარეკომენდაციო წერილებს, ვთანამშრომლობდით პარტიებთან, მ.შ. „ნაციონალისტების“ საზოგადოებრივ დაარბაზთან. არასამთავრობო ორგანიზაციებთან გვქონდა ნაყოფიერი თანამშრომლობა. მათი შენიშვნების უმეტესობა გათვალისწინებული იქნა, აღნიშნა მამაკაიშვილი.

გამგეობის შიდა აუდიტის სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის

ანგარიში, ამ სამსახურის უფროსმა გია ჩაგანავამ წარმოადგინა, ხოლო ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და ქონების მართვის სამსახურის – გოჩა აბაშაძემ. მან დეტალურად წარმოადგინა თითოეული თემში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტი.

–უახლოეს ხანში სოფელ მერიაში 90-ბინიან სახლს გადავცემთ მეწყვირისაგან დაზარალებულ და სოციალურად დაუცველ ოჯახებს-განაცხადა მან.

აბაშაძემ კითხვები დაუყვეს.

–რა მდგომარეობაშია შვიდობაური-ასკანის 7-კილომეტრიანი გზის რეაბილიტაციის საქმე? გარდა ამისა, სოფლის მოსახლეობა როდის მიირიებს გაფილტრულ წყალს? – შეკითხვა სოფელ ასკანის მაჟორიტარი დეპუტატი ილია მამალაძე.

–რეგიონალური განვითარების ფონდთან მიმდინარეობს მოლაპარაკება გზის საკითხზე, ხოლო წყალთან დაკავშირებით ახალი შპს შეიქმნა და იგი მოაგვარებს ამ საკითხს – გასცა პასუხი გოჩა აბაშაძემ.

– სამი წელია ვიძახით კარგადაა საქმე, მაგრამ შედეგი არ ჩანს.. ისროლა რეპლიკა ასკანის მაჟორიტარმა.

–მიმდინარეობს შრომატევადი სამუშაოები. წყლის ახალი სამსახურის შექმნა დროს მოითხოვს გასცა პასუხი გამგეობის მოადგილე არჩილ ყაზაიშვილმა.

ანალოგიური შეკითხვა დასვა სოფ. ოზურგეთი-გურიანთას გზის მშენებლობასთან დაკავშირებით სოფელ გურიანთის მაჟორიტარმა დეპუტატმა ბონდო ღლონტმა.

–ამ გზასთან დაკავშირებით მიმდინარეობს მოლაპარაკება შპს „გზამშენი 18“-ის უფროს თეიმურაზ ჯახვასთან...უპასუხა გამომსვლელმა.

მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, სპორტისა და ტურიზმის განვითარების სამსახურის ანგარიში ნინო ხომერიკმა წარმოადგინა, ხოლო განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სოციალური სამსახურის – მაიზერ ცელაძემ.

დეტალურად ისაუბრა გამგეობის ეკონომიკის და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის ანგარიში გიგა ხარაბაძემ.

– სოფლის მეურნეობაში მოსახლეობის 10 პროცენტამდეა ჩართული პოლანდიაში, 2-3 პროცენტი აშშ-ში, რომლებიც არა მარტო მათ ქვეყნებს ამარაგებენ, ექსპორტზეც გააქვთ მათი ნაწარმი. საქართველოში კი სოფლის მეურნეობაში მოსახლეობის 45 პროცენტი ჩაბმული. ამიტომ უნდა შემცირდეს მათი აქტივობები სოფლის მეურნეობაში და ეკონომიკის სხვა სფეროში უნდა გადამაწილდნენ-აღნიშნა ხარაბაძემ.

საკრებულომ გამგეობის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მოხილვის სამსახურის უფროსი ილია ლეჟავას ანგარიშიც მოისმინა.

სხდომაზე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეკლამის განთავსების ნებართვის შემოღების, რეკლამის სანებრთვო მოწოდების, როგორც მკაცრი აღრიცხვის ფორმისა და ამ ფორმის გამოყენების, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ნუსხის დამტკიცების შესახებ და სხვა საკითხები განიხილეს..

# ქალაქის მერიამ მორაგბეებს ხელფასი დაუნიშნა

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი, ბეგლარ სიორიძე რაგბის კავშირის პრეზიდენტს გოჩა სვანიძესა და კავშირის ვიცე-პრეზიდენტს გაიოზ მონიას შეხვდა. გოჩა სვანიძე რაგბის კავშირის პრეზიდენტად გასულ წელს დაინიშნა და მისი გურიაში ვიზიტი გაცნობით ხასიათს ატარებს.

სტუმრები ქალაქ ოზურგეთის რაგბის სახეობაში არსებულ მდგომარეობას გაეცნენ. გოჩა სვანიძემ ა.ა.ი.პ. „ქალაქ ოზურგეთის რაგბის განვითარების კავშირი“-ს მორაგბეთა გუნდი „არწივები“ მონიხულა და ადგილობრივი რაგბის ხელმძღვანელობას სტადიონის მოსაწესრიგებლად თანხების გამოყოფას დაპირდა.

– „რაგბის მდგომარეობას გურიის ყველა მუნიციპალიტეტში გავეცანით და მინდა გითხრათ, რომ ქალაქ ოზურგეთში ამ მიმართულებით ყველაზე უკეთესი მდგომარეობა დაგვცდა. მადლობას გიხდით, რომ რაგბის განვითარებაზე ზრუნავთ“ -აღნიშნა რაგბის პრეზიდენტმა.

–„სპორტის განვითარება ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი პრიორიტეტია და შესაბამისად, მერია შესაძლებლობების მაქსიმუმს იყენებს, რომ სპორტის სხვადასხვა სახეობას სათანადო ყურადღება მივაქციოთ. ქალაქის მერიამ შეძლო, პირველად ოზურგეთის რაგბის ისტორიაში, მორაგბეებისთვის ხელფასი დაენიშნა და ბიუჯეტი 80 000 ლარით გაეზარდა, ეს არ არის კოლოსალური ანაზღაურება, მაგრამ ამ ნაბიჯით შევეცადეთ მორაგბეებში მოტივაცია გაგვეზარდა. მომავალში სპორტის ამ სახეობისთვის გაცილებით მეტი ყურადღების დათმობას ვგეგმავთ“ - აღნიშნა ქალაქის მერმა ბეგლარ სიორიძემ.

# აღზრდელი, ვისთანაც აღსაზრდელები მხოლოდ სიცილის დროს იცრემლებიან



– თუ გინდა, რომ შვილი ლამაზად აღზარდოს, იგი ირმა ნოდიას ან ირმას ტოლფასოვან აღზრდელს უნდა მიაბარო! – ათიანში გარტყმული ფრაზაა, რომელიც ლიხაურის საბავშვო ბაღის ერთ-ერთი აღსაზრდელის მადლიერ მშობელს ეკუთვნის.

როგორც ჩანს, ეს ახალგაზრდა ქალი ამჟამად მართლაც შეუდარებელ აღზრდელად არის მოვლენილი. არადა, ბიოგრაფიას თუ გადავხედავთ, თითქოს სხვა გზით უნდა წასულიყო: ჯუმათის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, სწავლა განაგრძო უმაღლეს სასწავლებელში და მიიღო ეკოლოგ-ექსპერტის სპეციალობა, ამას მოჰყვა ასპირანტურის სრული კურსი აგროქიმიის განხრით, ნაყოფიერი მოღვაწეობა ანასეულის ბუნებათსარგებლობის სასწავლო ინსტიტუტში, მაგრამ თავისი თავი, საკუთარი „მე“ მან მაინც აღზრდელის ამპლუაში იპოვა და მადლიერია უფლისა, რომ ეს არჩევანი გააკეთებინა.

ირმა განსაკუთრებულად ემზადება აღსაზრდელთან პირველი შეხვედრისთვის, რომელიც აუცილებლად უნდა იყოს თბილი და ალერსიანი: მიიჩნევს, რომ ბავშვს დილობამდე უნდა გაჰყვეს აღზრდელის პირველი ალერსი: „აღსაზრდელთან პირველი შეხვედრისთვის ყოველთვის საგანგებოდ ვემზადები. ჯგუფში 30-35 ბავშვია და თითოეული ინდივიდუალურ მიდგომას საჭიროებს, პირველი ალერსი ისეთი თბილი და იმ დონისა მაინც უნდა იყოს, რომ ბავშვმა დღის ბოლომდე არ იკითხოს თუ როდის მოვა თავისი დედა. საბედნიეროდ, საქართველოში ჰყავდათ და ჰყავთ აღზრდელები, რომელთა რულენებას მოწიფულობაშიც არ ივიწყებენ ყოფილი აღსაზრდელები. ამაში, რასაკვირველია, დიდ ბედნიერებას ვხედავ და კარგად მესმის, რომ ეს მხოლოდ ღირსეულ აღზრდელთა ხვედრია“.

ჯერ მხოლოდ ოთხი წელია, რაც ირმა აღზრდელად მუშაობს და ეიმედება, რომ ასეთი პერიოდი ცხოვრებაში წლების შემდეგ ერთხელ მასაც დაუდგება.

ირმასთან ვერ ნახავთ ატირებულ ბავშვს, აღსაზრდელები მხოლოდ სიცილის დროს იცრემლებიან.

ცალკე საუბრის თემა ირმა ნოდია, როგორც ხელოვანი. ამბობს, რომ სცენა მისთვის უცხო არასდროს ყოფილა, 6 წლის ასაკიდან მეგობრობს გიტარასთან, რომელიც ხელიდან არ გაუდვია არც სკოლაში, არც ინსტიტუტში და არც სწავლის დამთავრების შემდეგ.

ლიხაურის საბავშვო ბაღის მენეჯერი ნათია გობრონიძე ვერ იხსენებს ისეთ ღონისძიებას, რომლის სულის ჩამდგმელი არ ყოფილა ირმა ნოდია, არა მხოლოდ ბაღში, არამედ სოფელში და მუნიციპალიტეტშიც კი.

– „ირმა ფენომენია. წუთისოფლის სამივე დროით ცხოვრობს, შეუძლია წარმატებით მოამზადოს წარმოდგენები როგორც საბავშვო, ისე ახალგაზრდა და მსცოვანი ასაკის ადამიანებისთვის. მე ვერ ვიხსენებ ბოლო წლებში ისეთ ღონისძიებას ჩვენს ბაღში, სოფელსა თუ მუნიციპალიტეტში, რომელშიც ირმას მონაწილეობა არ მიეღოს, თავისი სიტყვა არ ეთქვას, იგი ხშირად ამ ღონისძიებების სულისჩამდგმელია“.

ძნელია, არ დაეთანხმო მენეჯერს, მაგრამ ჩემიც რომ არ ეთქვას, არ ვიქნები მართალი. ამ წერილის პერსონაჟში ერთი მეტად ძვირფასი თვისებაა აღმოვაჩინე, იგი ყველა სიტუაციაში აფასებს კოლეგის ღვაწლს. როცა ლიხაურის საბავშვო ბაღში 23 მარტს ჩატარებულ ღონისძიებაზე წერილი მოვაშადა, „რამსები“ ამე-



შეცდომის გამოისობით „ჩრდილში მოქცეულს“, რასაკვირველია, დაურეკე და ბოდიში მოგუნადე. „არა უშავს, ხდება ასეთებიც. ისე, ის ქალბატონი ჩემზე ნაკლები აღზრდელი ნამდვილად არ არის“, – მშვიდად მიპასუხა.

თუ ძალიან ტრაფარეტულად ნათქვამი არ გამომივა, ეს ქალი ანდამატია, რომელიც არა მარტო იზიდავს, არამედ ავითარებს, სრულყოფს, აჯანსაღებს, შემოქმედებითად მუხტავს და საოცარ პიროვნებად აყალიბებს ბავშვებს. სამომავლოდ ირმა ნოდიას აღსაზრდელები სასკოლო ასაკისა გახდებიან და ნამდვილად ბედნიერი იქნება ლიხაურის საჯარო სკოლა, სადაც ისინი მერხებს მიუსხდებიან.

რამე რომ არ გამომჩენოდა, საბოლოოდ გადავხედ უბის წიგნაკში გაკეთებულ ჩანაწერებს. „ირმა პარმონიული პიროვნება“ – ამ ფრაზამ, რომელიც ბაღის მენეჯერს ნათია გობრონიძეს ეკუთვნის, შემაქმნევინა ეს სტრიქონები:

სასწავლია შენი სულის ანატომია!  
ნამდვილ ტალანტში ხან მზე ბრდღვილებს,  
ხან ატომია.  
რასაც აქ დაწერ, სხვასაც არ ეთქვას, არა მგონია,  
– სადაც შენა ხარ, იქ ყოველთვის დგას პარმონია.

სოფელთა სოფელს – დიდ ლიხაურს ბედი ჰქონია, არ მეგულება არსად აღზრდელი შენი ტოლია, მაგ ნაღვაწიდან თამარი და დავით მოდინ, ღმერთმა დაგლოცოთ, ქალბატონო ირმა ნოდია!

შენი ბაღს, ვითარც ზურმუხტოვან ცას მნათობია, ლექსი კი არა, მემეტება ხოტბათ ტომია, იმით ამშვენებ წუთისოფელს, რაც არ ჰქონია, სადაც შენა ხარ, იქ ყველაფერს ნიქავს პარმონია!

**თემურ მარშანიშვილი.**

რია და ღონისძიების რეჟისორად თუ დირიჟორად სხვა აღზრდელი დავასახელებ. ჩემი

# საქართველო - ეს არის ქართული კულტურა



დავით შემოქმედელი, ანზორ ერქომაიშვილი, ჯემალ ჭკუასელი

**—ბატონო დავით, თქვენ გასული საუკუნის 90-იანი წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი იყავით ოზურგეთის რაიონში. როგორ გაიხსენებდით ამ პერიოდს?**

—მე ამას რომანტიკულ-პატრიოტულ მოძრაობას დავარქმევდი. ასევე რომანტიკულად მახსოვს შინდისფერი დროების ფრიალი, ხელში სანთელი და „შავლეგოს“ ხმაზე ცისკან შემართული მუშტები. სამშობლო ჩვენ თვალწინ იღვიძებდა ხანგრძლივი ჩეკისტურ-ათეისტური ძილისაგან. ბრენენე-ჩერნენკოს პერიოდი უკანასკნელ წუთებს ითვლიდა. ამ დროს, ოზურგეთი ერთ-ერთი ყველაზე ჯანსაღი და მნიშვნელოვანი ნაწილი გახლდათ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის. ოზურგეთში საზოგადოებისათვის ცნობილი რამდენიმე გულანთებული პატრიოტული სათავეში ჩაუდგა ამ ეროვნულ-სახალხო მოძრაობას. მემამყება, რომ მეც მათ გვერდში ვიყავი. გვარების ჩამოთვლისაგან თავს შევიკავებ, რომელიმე მათგანი რომ გამოძრჩეს და გული ვატკინო.

მასხოვს 1989 წლის 9 აპრილი, ყველაზე მღელვარე დღე ჩემს ცხოვრებაში. თბილისიდან შემადრწუნებელი ინფორმაცია მოვიდა, თბილისში მომიტინგენი დაარბიეს და მსხვერპლიც არისო. რა-იკომის პირველ მდივანთან — თამაზ კუნჭულაიასთან შევედი, რუსთაველის საზოგადოების გამგეობის წევრები ვახტანგ მაძიშვილი, და მე. მოვითხოვეთ სანქცირებული მიტინგის ჩატარების ნებართვა ოზურგეთის სახელმწიფო თეატრის წინა მოედანზე. მან ქვეყანაში შექმნილ უკიდურესად დაძაბულ მდგომარეობაზე გვესაუბრა, ოფიციალური ნებართვა არა, მაგრამ სიტყვიერი თანხმობა განვიცხადა. რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ პროტესტის გამოსახატავად ოზურგეთის თეატრის წინ მოედანზე უამრავი ხალხი მოვიდა. ათასობით ადამიანი იდგა თეატრის წინ, მოელა-

ნხე. მიტინგის დაწყებამდე ნახევარი საათით ადრე ჩვენთან, მიტინგის ორგანიზატორებთან მოვიდნენ ოზურგეთის აღმასკომის თავმჯდომარე და მილიციის უფროსი. მოგვთხოვეს, მიტინგი დაგვეშალა და ხალხისთვის შინ დაბრუნება გვეჩვენა. გვითხრეს, ქვეყანაში გამოცხადებული იყო საგანგებო მდგომარეობა და ადვილი შენადლებელი იყო მერიის სამსახური შენაერთებისათვის ბრძანება მიეცათ და მომიტინგენი დაეებიათ, ხოლო კომენდანტი საათის პირობებში მიტინგის ჩატარებისათვის ციხე გველოდა. ჩვენ მძიმე საპასუხისმგებლო გადაწყვეტილება მივიღეთ და მათ წინადადებას არ დავთანხმდით. მიტინგის გახსნა და წარმართვა მე დამეკალა. მასხოვს უდიდესი პასუხისმგებლობისაგან ჩემი მღელვარე განცდები. მიტინგის შემდეგ ხალხმრავალი მანიფესტაციით შემოქმედის ტამარში ავედით და პარაკლისი გადავუხადეთ თავისუფლებისათვის შეწირულ გმირებს. მათ შორის ლიხაურელი ნინო თოიძეც იყო... ოზურგეთში, ამ წლებში ხშირად ჩამოგვყავდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ადარებული ლიდერები — ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა და სხვები.

სხვა ბევრი მღელვარე დღეც არის გასახსენებელი, მაგრამ ამჟამად ამით დაკმაყოფილდეთ.

**—ბატონო დავით, მოვიყვით რუსთაველის საზოგადოების ისტორიის შესახებ**

—ამ საზოგადოების ისტორია უახლოესი ქართული ისტორიის ბედისწერას ჩამოჰკავს. ცნობა რუსთაველის საზოგადოების დაარსების შესახებ 1913 წლის 26 ნოემბერს გამოქვეყნდა გაზეთ „თემში“. ამ მოვლენას სიხარულით შეგვება აკაკი წერეთელი და სხვა თვალსაჩინო ქართველი მოღვაწენი. რამდენიმე წელს ამ საზოგადოების თავმჯდომარე გახლდათ გრიგოლ რობაქიძე. დამოუკიდებელი საქართველოს პერიოდში გამოდიოდა ჟურნალი „რუსთაველი“. 1922 წელს

ბიუტი დავით შემოქმედელი (ტაკიქ). — სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტი, საქართველოს კულტურის დესპანი, არაერთი წიგნის ავტორია. მინიჭებული აქვს დავით აღმაშენებლის, ელაკტინ ტაბიძის, ნიკო ლორთქიფანიძის და ივანე მაჩაბლის პრემიები. გასულ პარასკევს მას დაბადებიდან 63 წელი შეუსრულდა. ვთავაზობთ ინტერვიუს დავით შემოქმედელთან:

დაარსდა ამ საზოგადოების პირველი ფილიალი გერმანიაში, რომლის საპატიო თავმჯდომარე იყო დიდი რუსი პოეტი და მთარგმნელი, ქართველი ხალხის დიდი მეგობარი — კონსტანტინე ბალმონტი. გასული საუკუნის 30-იან წლებში გასაგები მიზეზების გამო რუსთაველის საზოგადოება გაუქმდა. 80-იანი წლების ბოლოს ეროვნული მოძრაობის პიკზე მოხდა ამ საზოგადოების აღდგენა. საქართველოს პატრიოტი და მოაზროვნე საზოგადოება გაერთიანდა მასში. რუსთაველის საზოგადოების პირველი თავმჯდომარე გახლდათ პოეტი-აკადემიკოსი ირაკლი აბაშიძე. შემდგომში, უკვე ახალი სტატუსით, სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტები იყვნენ ქართული კულტურისა და ლიტერატურის კორიფეები: აკაკი ბაქრაძე, მურმან ლებანიძე, მიხეილ ქურდიანი.

აფხაზეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის შემდეგ რუსთაველის საზოგადოებაში შექმნილი შტაბი, სადაც კერძო პირებისა და ბიზნესმენების შემოწირულობებით ფიზიკური განადგურებისაგან ვიხსენით დევნილი მოსახლეობა. აჭარასა და სვანეთში სტიქიისაგან დაზარალებული მოსახლეობისათვის, დაახლოებით 8000 ოჯახი, შევიძინეთ ბინები საჩუქრად გადავეცით. ამით სამხრეთ საქართველოში მნიშვნელოვნად გავაჯანსაღეთ დემოგრაფიული მდგომარეობა. ეს ეც მოკლედ, რაც საგაზეთო ფორმატით შეიძლებოდა გვეთქვა.

**—ნომ არ გვეტყვი, თქვენი მოსვლის შემდეგ, ამჟამად რა მდგომარეობაა საქართველოს რუსთაველის საზოგადოებაში?**

—რუსთაველის საზოგადოებაში გვაქვს რამდენიმე კომიტეტი:

კულტურის კომიტეტი, თავმჯდომარე — ცნობილი კომპოზიტორ, თბილისის საპატიო მოქალაქე — მარიკა კვალაშვილი. კომიტეტის წევრები არიან: ვაჟა აზარაშვილი, ომარ მხეიძე, გიორგი უშიკიშვილი, თენგიზ უთმელიძე, გოგი ჭიჭინაძე;

ენისა და ლიტერატურის კომიტეტი, ხელმძღვანელი, პროფესორი — გიორგი გოგოლაშვილი. წევრები: ელგუჯა ხინთიბიძე, ნოდარ ნათაძე და სხვა არაერთი მნიშვნელოვანი ქართველი მეცნიერი და რუსთაველოლოგი. საქართველოს მდგრადი

განვითარების კომიტეტი, — თავმჯდომარე რუსთაველის მეტალურგიული ქარხნის ყოფილი დირექტორი, აკადემიკოსი გურამ ქაშაკაშვილი. წევრები: ჩვენი ტექნიკური ინტელიგენციის დამსახურებული მოღვაწენი.

ჩვენს საქმიანობაზე საუბარი შორს წავგიყვანს. გამოვეყოფთ მცირე ნაწილს: ჩავატარეთ ჰამლეტ გონაშვილის, აკაკი ხორავას, იპოლიტე ხვიჩიას, პაატა ბურჭულაძის, ზურაბ სოტკილაშვილის, მედეა ამირანაშვილის, ოტია იოსელიანის, გურამ დოჩანაშვილის და სხვათა საიუბილეო თუ შემოქმედებითი საღამოები. ახლა, როცა, ასე მძლავრობს მასკულტურის შემოქმედა, ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის პოპულარიზაციის მიზნით სკოლებში ვატარებთ ხელოვნების ფესტივალს: „ჰეი, ვინ მოდის მანდ მომავლიდან“!

**—წელს შოთა რუსთაველის საიუბილეო წელია. რას გვეტყვი?**

—ის, რომ ეს წელი რუსთაველის წლად გამოხადებულიყო, ბევრი ჩინოფიკური წინააღმდეგობა შეგვხვდა. უკვე რამდენი წელია ვიბრძვით ამისათვის პრესითა და ტელევიზიით. უამრავი ბრიფინგი ჩავატარეთ. ბოლოს, მე და აკადემიკოსი — გიგა ბათიაშვილი შევხვდით ბატონ ბიძინა ივანიშვილს. მან სრული მხარდაჭერა აღგვიკვა. მართლაც, სულ მოკლე ხანში შეიქმნა სახელმწიფო სამთავრობო კომისია პრემიერ-მინისტრის თავმჯდომარეობით. კომისიაში შედიან მთავრობის უმაღლესი ეშელონის პირველი პირები. ამ იუბილეს ღირსეული ჩატარებით ჩვენ დანარჩენ მსოფლიოს ვუჩვენებთ, რომ რუსთაველმა თავისი გენიალური ნაწარმოებით თითქმის საუკუნუნახევარი გაუსწორო ევროპულ რენესანსს.

**—თქვენ ქართული კულტურის დესპანი ბრძანდებით. მოგიყვით თქვენი საქმიანობის შესახებ.**

—2008 წლის მაისში, რუსეთ-საქართველოს ომამდე ორი თვით ადრე, საქართველოდან გახლდით მიწვეული მოსკოვში მსოფლიო ლიტერატურის საერთაშორისო ფორუმზე. დაძაბულობა ჩემსა და ორგანიზატორებს შორის გამოიწვია იმან, რომ მათ გადაწყვიტეს, როგორც დამოუკიდებელი აფხაზეთის სახელით, ფორუმზე წარმოგვნილ იყო

საქართველოს მწერალთა კავშირის აფხაზეთის ორგანიზაცია. რაზედაც მე პროტესტი განვაცხადე, რომ დემონსტრაციულად დავტოვებდი ფორუმს და ჟურნალისტებისათვის ამ თემაზე ბრიფინგს გავმართავდი. სიტუაციიდან გამომდინარე, მათ სეპარატისტი მწერლის გამოხვედრა ამოიღეს დღის წესრიგიდან. ფორუმზე ჩემს გამოხვედრას ესწრებოდა რუსეთის იმჟამინდელი პრემიერ-მინისტრი ვლადიმერ პუტინი. ეს იყო ჩემს ცხოვრებაში, ისევე როგორც 9 აპრილს, ყველაზე მძიმე და საპასუხისმგებლო გამოსვლა. გამოხვედრის ტექსტი დაბეჭდილია ჩემს წიგნებში: „რატომ ტირინ ჩიტები ზამთარში“ და „სიტყვებს მიღმა“. ასევე გავიხსენებდი, რომ ამ ოთხი დღე ფილიპინის წინ გახლდით მსოფლიო პოეზიის ფესტივალზე ერევანში. რომელიც ძალზე მაღალ დონეზე ჩატარდა. შევხვდი სომხეთის კათალიკოს-პატრიარქს — გარეგინ II-ს. ვისაუბრეთ ორი ქვეყნის ფაქიზ რელიგიურ საკითხებზე. უნდა ავღნიშნო, რომ სომხეთში კულტურა პრიორიტეტულია, რაზედაც საქართველოში ჯერჯერობით ოცნება თუ შეიძლება. როდესაც სომხეთის ვიცე-პრემიერს ეკონომიკის დარგში შევეკითხე, როგორ შესძელით ამ მასშტაბის ღონისძიების ჩატარება-მეთქი, მიპასუხა: ჩვენ პატარა ერი ვართ, რომ გადავჩრეთ, სხვა გზა არ გავაჩნიათ. ვფიქრობ, დასაფიქრებელი სიტყვებია ქართული გავლენიანი პოლიტიკოსებისათვის.

ყველაზე მძიმე და დასაფიქრებელი მდგომარეობა ისაა, რომ ჩვენი უხელო და მოსულელო ტელემედიის შეხვედრე ქვეყანაში ორი ათეული წელია, მიმდინარეობს აზროვნების ლიკვიდაცია. რაზედაც ბატონმა ოტია იოსელიანმა თავისებური პირდაპირობით თქვა: „ჩვენ გვჭირს ეროვნული გამოთავისუფლება“. ჩვენ შეიძლება გავუძლიოთ, ნებისმიერ კრიზისს, იქნება ეს, პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სხვა, მაგრამ გონებრივ სიღრმეში, ვერა. კანტის აზრით, „მოვლენის, არსის გაუნაღლებლობას ეწოდება სისუფილეს და მისი წამალი არ არსებობს“. დღეს მხატვრულ ესთეტიკურ და სულიერ ღირებულებათა სრული ინფ-

ლაცია და ქოსია. კაცობრიობის ისტორიაში სულ სამი საზოგადოებრივი სივრცეა: სამართლებრივი, ეკონომიკური და კულტურული. სამწუხაროდ, საქართველოში არც სამართლებრივი და არც ეკონომიკური აზროვნების არეალში რაიმე დიდი და ღირებული ვერ შევქმენით. სამაგიეროდ, ქართული კულტურის მიღწევები არის სრულიად უნიკალური და მსოფლიო მასშტაბის. ამიტომ მე არაერთხელ მითქვამს, თუ გვინდა ვთქვათ საქართველოს ფორმულა, საქართველო — ეს არის ქართული კულტურა. საქართველოში კარდინალურად უნდა შეიცვალოს კულტურის პოლიტიკა. გურამ რჩეულიშვილი დანაწილით ამბობდა: „ღმერთო, რატომ ტოვებ ჩრდილში რუსთაველსა და საქართველოს“. დროა ამ ჩრდილიდან გამოვიდეთ, მსოფლიომ განვითარებადი მოჩინაწაღე ქვეყნის სტატუსით ვი არა, არამედ მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი კულტურის მქონე ქვეყნად მიგვიღოს.

**— და ბოლოს, გვიამბეთ თქვენი შემოქმედების შესახებ.**

—უხერხულია, ალბათ, ჩემგან ამ თემაზე საუბარი. ამაზე ყველაზე უკეთ ჩემმა წიგნებმა უნდა თქვან. ტერმინი გრანელი წერდა: „სურვილი მაქვს ვარსკვლავებთან ვცხოვრობდე და იქიდან ვუგზავნიდე წერილებს ჩემთვის საყვარელ ადამიანებს“. ხანდახან, როცა მეკითხებიან, რატომ წერ? ალბათ იმიტომ, რომ მეც მინდა ჩემი ხმა მივაწვინო ამ აწრიალებული და აფორიაქებული სამყაროს გვირგვინს — ადამიანს. ყველა შემოქმედის სურვილი კი ალბათ ის არის, რასაც ახლა მოვახსენებთ. იყო ერთი მხატვარი პორტინარი, რომელიც მხოლოდ ცისფერს ხატავდა. სიცოცხლისათვის საშიში საღებავებით ამზადებდა ის ამ ფერს. ექიმებმა ურჩიეს, რომ თავი დაენებებინა. მაგრამ მან მანც არ დაიშალა. იგი ახალგაზრდა გარდაიცვალა. იღონდ დარჩა მისი განუყოფელი ფერი. მე ბედნიერი ვიქნები, თუ 100 წლის შემდეგ ჩემი ერთი წიგნი ან თუნდაც ერთი ლექსი მანც დამრჩება, რომელსაც ჩემი საკუთარი ხმა, ჩემი ფერი ერქმევა.

ესაუბრა ნუნუზარ ასათიანი



# 1841 წლის ჯანყი გურიაში

რუბრიკას უძღვება ოფორმების ისტორიული მუზეუმის მენეჯერ-მუშაკი მანანა მამარნიშვილი



„გურია აბუნტაშულა აღარ მოსწონს კმელი წყისი“ ხალხური

1841 წლის დასაწყისში კრიმანტულის ტომის მოდგმა - ოზურგეთის მაზრის ქედვიცხელი გურულები, რომლებიც გურიელურ სისხლს ღვრიდნენ რუსთა ინტერესებისათვის, 1828-1829 წლებში „რუს ოსმალს“ ომში გურიის საზღვრებთან გენერალ-მაიორ გესსა და მაიორ პანკოვსკის ეგერთა შორის, ამავე რუსის ხელისუფლებას აუჯანყდნენ და მათი გურიიდან გაგდება მოინდომეს.

რუსის ხელისუფლების საწინააღმდეგო მოძრაობაში ჩაება თანახმად „გურული“ ფოლკლორისა: „ყველა ბრუნდი და მართალი აულიათ იარაღი, შიშვლად აქვენ ხელში ხმალი, ვისაც არ აქვს იარაღი, აულიათ თიხის ტარი ერთმანეთს ეუბნებიან: ამოვიღოთ გულის ჯავრი, ჩვენს მოღაურსა ვენიხუთოთ აუღულოთ სისხლის ღვარი, ღმერთმა ისეთ დროს მოგვასწროს ამოგველოს მისი ჯავრი, თხოვნას ღმერთი აგვისრულებს გამარჯვებს ჩვენი ჯარი.

გურიის 1841 წლის ჯანყს საფუძვლად ედო გურიისათვის მანამდე უცნობი და გაუგონარი სენატორ განის თაოსნობით გატარებული მეტად უხეირო რეფორმის გზით შემოღებული სამოქალაქო მმართველობა, რომლის არსსა და ასავალ-დასავალს ვერაფერი გაუგო ვერც ხელმწიფე იმპერატორმა, ვერც კავკასიის მთავარმართველმა გენერალმა გოლოვინმა და ვერც თვით პროექტის ავტორმა სენატორმა განმა.

გარდა ზემოხსენებულისა აჯანყების ძირითად მიზეზს წარმოადგენდა, ფულადი მიმოქცევის გარეშე არსებულ მხარეში, ფულადი გადასახადების შემოღება რუსული კურსით. დიმიტრი ყიფიანი გადმოგვცემს: „ამ აჯანყების ოფიციალური მიზეზი მე არ ვიცი. ვიცი მხოლოდ ორი ნამდვილი (მიზეზი) არსებითი მიზეზია: ა) მოთხოვნა გადასახადისა ფულადი, ბ) ბრძანება კარტოფილის მოყვანისა. ნებას ვაძლევ ჩემს თავს ვფიქრობდე, რომ საზოგადოდ ხალხის გულისწყრომის აფეთქება, ერქმევა ამას აღეგება თუ ამბობება, ხანდახან შეიქმნება ხოლმე ხელოვნურად. ხოლო რიგ შემთხვევაში კი,

როგორც იყო კახეთში, აქაც გამოწვეულია მხოლოდ მმართველობის დაუფუჭრებლობითა და წინდაუხედაობით, საქმეს რომ აურევენ, და წყლიდან ბოლოს მშრალად თვითონ მმართველები ამოდიან. მმართველობის ორგანიზაციის გარდაქმნა 1840 წელს გურიასაც შეეხო: დაარსდა აქ მაზრის სამმართველო და პირველად შემოიღეს გადასახადის ფულად შეწერა. ამ შეწერის დროს არსად არ დაჰკითხებიან თავის თავს, შეიძლება თუ არა მისი რეალიზაცია.

რუსული მმართველობა შემოღებული იყო გურიაში 1829 წელს. ამ მმართველობის მიუღი პერსონალიდან მხოლოდ გურიის დროებითი მმართველობის თავმჯდომარე, რუსი ოფიცერი იღებდა ფულად ჯამაგირს 600 მანეთს წელიწადში, დანარჩენი მთელი პერსონალი მმართველობისა, თავიდანვე არსებული წესით ჯამაგირს იღებდა ნატურით: თვითიული გადაჭრის რიცხვს საკლავისას, და გადაჭრილ წონას ღომისას და სიმინდისას.

მამასადაამე ადმინისტრაციას გურიაში მხოლოდ 600 მანეთი შემოქონდა ფულად, ხოლო ეს ფულიც მამინვე ქუთაისში მიდიოდა, სადაც შეიძლება შოვნა ხორბლეულისა, ჩაისა, ყავისა, შაქრისა და ტანსაცმლისა.

გნახოთ ახლა რა შემოქონდა ვაჭრობას:

აქ იყო ერთად-ერთი სავაჭრო კუთხე დეკაზუ, სადაც 20-30 ჩალავადარი თათარი მთელ გურიაში აწარმოებდა გაცვლა-ვაჭრობას.

ფულის ნიშნად ტრიალებდა ერთად-ერთი თათრული ფარა, ლითონის ისე მცირე წონისა, რომ ხელის-გულ-იდან შეებრვით ასობით ადვილად გადაიყრებოდა. კაპიკის 1/20, თუ უფრო ნაკლებს რომ უდრიდა.

მე ვიყავი ესპენოსთან ერთად გურიაში 1837 წ. მაგრამ მამინაც კი მხოლოდ დიდმა მოხელეებმა იცოდნენ, თუ რა იყო რუსული ფული.

გვონებ, ცხადია, რომ 1840 წ. გადასახადების ფულად გაწერა ძალიან მოუფიქრებელი რამ იყო.

მაგრამ გაწერა იყო და პოლიციაც თხოულობდა, ხოლო უარის თქმაზე ვგუჯუკუიას იწყებდა.

ამას მიემატა კიდევ სასტიკი მოთხოვნა კარტოფილის მოყვანისა რა სალაპარაკოა - მშვენიერი რამ არის! მაგრამ გურულები ღომსა და

სიმინდს არიან შეჩვეულნი: ერთიც და მეორეც საკმარისი ჰქონდათ, მოუსავლობისა თავის დღეში არა იცოდნენ რა, მამ რად უნდოდათ კარტოფილი?

... აქ უნდა გავისვენოთ კიდევ ერთი გარემოება. ეს არის უადრესად მოთაკილე და წყენის ამყოლი ხასიათი გურულებისა, ჰოდა, აი, განმეორება იმისი, რაც კახეთში იყო:

„მომეცი რაც გაქვს, გაუჩენელი გააჩინე, და სჭამე ის, რაც არ გინდა, ყელზეც რომ გადაგებოდეს“.

გაისმა ჯერ კენესა, მერე ყვირილი, შემდეგ ტკაც-ტკუც და აბრ-აღდა ერთბაშად გურია, ეს პატარა, მშვენიერი მხარე, დასახლებული მართლმადიდებლური, პატიოსანი, მამაცი ხალხით, მტკიცეთი თავის შეხედულებაში 1841 წლამდე, და შემდეგში მეტადრე 1853-1856 და 1877-1878 წლების ომებში.

(დაღესტნის ბრძოლებიდან საგანგებოდ გამოწვეული) პოლკოვნიკი ბრუსელოვი, ადგილობრივი (მაზრის უფროსი იაცენკო) და გენერალი კახანოვი, მამინდელი უფროსი საფოსტო ოლქისა, მთელი სამხედრო მცირე ძალებით ოზურგეთში ( აღმოჩნდნენ) გარემომრტყმულნი.

გენერალმა (მთავარსარდალმა), გოლოვინმა მათ მისაშველებლად და ამბოხების ჩასახშობად გაგზავნა პოლკოვნიკი, შემდგომში გენერალი, წარმომავლობით სომეხი და თავგადასხვადარი მოშურნე ქართველთა, (მოსე ზაქარაის ძე ეგ.) აღრუთინსკი-დოგოროვკოვი, შტაბის უფროსი პავლე აქსტაფის ძე კოცებუ (შემდგომში გრაფი) ... (კავკასიის) გენერალური შტაბის ადიუტანტებისა და ოფიცერთა საკმაო რიცხვი.

ხინჭიშვითის რუსის მუჟიკი, სალდათის ფორმა გადაცემული „ურ-ას“ ყიფინით უვარდებოდა სახლში გაოგნებულ გურულს და „საერებო გამოსაღებისათვის“ საერებო გადასახადისათვის „ნიკოლოზას“ ფულს დაეძებდა, რომელიც თვალისათვის არ ენახა აქამდე მას. რა უნდა მიეცა, რაც არ ჰქონდა, გურული თურქულ ფარას სთავაზობდა სამშობლო ქვეყნის დაქვეყნსა და სახლში „შტიკით“ შემოჭრილ მოძალადეს. მოძალადე რუსი იყო. სკვითის თავის ქალითა და მონღოლის ვიწრო თვალებით და ყველაფერს რუსული კურსით მოითხოვდა, მათ შორის კარტოფილის ნათესებსაც, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი გაროზგვითა და შპიცრუტენებით ემუქრებოდა კრიმანტულის ტომის ამაყ ნამიერს.

გურიელურმა სისხლის ყივილმა იუკადრისა, რუსული როზგით დამუქრება. გურულმა იარაღი აისხა მიწვივ-მოსისხარი ერთმორწმუნის წინააღმდეგ. ქაიხოსრო გურიელის დრო გაიხსენა. მას თვალწინ დაუდგა ეგზარქოსობის საშინელებანი და 18-20 წლის საეკლესიო ბუნტი, როცა რუსის ევერები მაცხოვრისა თუ ზარზმის ფერისცვალების ტაძარს შემოქმედში ფინდიხის ცეცხლს უშენდნენ, ჯუმათისა და შემოქმედის ციხეებს საძირკვლებად ანგრევდნენ და მხარის საუკუნოვან საფორტიფიკაციო ნაგებობებს მიწასთან ასწორებდნენ. იტაცებდნენ და ეზიდებოდნენ, გაჰქონდათ და მიჰქონდათ უძველესი სამოციქულო ეკლესიის უმღიდრესი საგანძური.

გადასახადის ამკრეფნი, ვითარცა სიკვდილის მაცენნი, პირველად ოზურგეთის მაზრის ლანჩხუთის მიდამოებს მოადგნენ. ლანჩხუთელები წინ აღუდგნენ რუსის მარბიელს. და-

ფრინეს მათი „სარანგი“ და შორს გაირეკეს გულბოროტი „ზბორშიკები“.

ლანჩხუთის უბნის მსაჯული - ქვეგამხედვარი და ბოროტგანმზრახველი ბარათაშვილი არ შეუშინდა ლანჩხუთის უბნის გლეხთა მუქარას და ლანჩხუთში განცილები ზარალის ანაზღაურება აკეთში სცადა.

აკეთი ისტორიული სოფელია, მდიდარი, უხვი, ბარაქიანი, მისი ამაყი და გულმართალი შვილები შეურაცყოფას ძნელად იტანდნენ, თედო სახოკია წერდა:

„აკეთი ისტორიული სოფელია, და ეს ისტორია მისი საკმაოდ მდიდარი გახლავთ. ოთხი სოფლისაგან შედგება აკეთი, საკუთრივ აკეთის, ზომილეთის ვანისა და ჭანჭათისაგან.

XVIII საუკუნიდან მოკიდებული აკეთი კუთვნილება იყო ქობულეთიდან გადმოსულ თავდგირითა გვარეულობისა, აწინდელი თავდგირითი წინათ თათქირითებულ იწოდებოდნენ და მოხსენიებულნი არიან: „სახელოვანი თავადნი სამცხე-საათაბაგოსა“. სამცხე-საათაბაგოში ჰქონდათ სოფელი „ჩორჩანელი“ სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა.

დანაშაულებად ჩაგვეთვლება, აკეთში ვიყოთ და არ ვახსენოთ აქაური ჰაერი და არ ვახსენოთ მისი წყალობით მათუსლას ხნის მოხუცნი... ასი წლის კაცის ნახვა აქ იშვიათი ამბავი არ არის, ჩემს იქ ყოფნაში ჯერ კიდევ სული ედგა ამ ასწლოვანთა რაზმის მამა-მთავარს, აკეთელ მათუსლას, 147 წლის მოხუცს, აწ უკეთ მქონედ გაახალგაზრდავებულ გლეხს, სიმონიკა ღლონტს, თონი უკანასკნელ ხანამდე ხელიდან არ გაუგდია, და სულ მხარში ედგა თავის მოხუც შვილებსა და შვილიშვილებს.

მეორე ცოლი შეურთავს 110 წლისას და იმისგან შვილი დარჩა 29 წლისა, ჩემს იქ ყოფნაში ავად გახდა, ეს პირველი ავადმყოფობა იყო მის სიცოცხლეში და თან გადჰყვა კიდევ, მის ტირილზე მარტო მისი შთამომავალნი დაესწრნენ ასი სული ქალი და კაცი.

მისი უფროსი ვაჟი ამჟამად ასწილიწადს მიტანებულია შვილები დარჩა სიმონიკას - 10 შვილის შვილები- 38 შვილის შვილის შვილები - 43 შვილის შვილის შვილის შვილები 9“.

1841 წლის მაისის მიწურულს, როცა ლანჩხუთის უბნის უფროსი „ზბორშიკი“ ბარათაშვილი სახელოვანი მამუკა თავდგირითი ყოფილ სამკვიდრო სოფელში ჩავიდა რუსუ-

ლი ფულის ასაკრებად, ზემოხსენებული „გურული მათუსლა“ სიმონიკა ღლონტი 91 წლის ასაკში იმყოფებოდა. იმათავითვე ჯან-ღონით სავსე აკეთელ თანამომქმთა რიგებში იდგა, მაგრამ ამჯერად არა თოხით, არამედ თოფით ხელში.

ამბოხებულ აკეთში თავდგირითა მოსვლა და დამკვიდრება ხანგრძლივი ისტორიული პროცესით განისაზღვრება, თავდგირითები ოდიოტანვე, როგორც თედო სახოკია მოგვითხრობს, მესხეთში მკვიდრობდნენ, „უძველეს ხანაში“ სამცხის მკვიდრ თავდგირითთა გვარის წარმომადგენლები არიან ფოცხუერი და ამირა თავდგირითები, რომელთაგან პირველ XIV ს-ში, ხოლო მეორე XV ს-ის უნდა იყოს.

სამცხეში ოსმალთა გამუდმებულმა შემოტევებმა ძველი მესხეთის ნატეხ გურიაში გადმოსახლება აფიქრებინა თავდგირითთა ერთ ნაწილს, რომელნიც დარჩნენ აღმსარებელნი ქრისტეს რჯულისა.

ეს იყო მე-17 საუკუნის მეორე ნახევარში, როცა მათი გვარის ხერხემლად და მამამთავრებად ითვლებოდნენ გიორგი და მირაზბეგ თუ მიზარბეგ თავდგირითნი.

იოანე ბატონიშვილის ცნობით, „თადგირ“ (წინაპარი თავდგირითთა ე.გ.) იყო თავადი ბუხმუნთელთა ვანის მხარისა, წელსა 1211-ს, ამათი გვარი მოვიდა მეფისა თანა ახალციხეს და მიიღო თავდგირითთა რომელნიმე დაშინენ ახალციხეს, და ზოგნი რომელნიმე დასახლდნენ გურიას.

XVII ს-ის შუა წლებში სამცხეში ოსმალთა შემოტევების ფაშს თავდგირითთა სახლის მამამთავრებმა, რომელთა არა ინებეს მაკმადიანობა, „ქვემო გურიას დასახლდნენ, გიორგი თავდგირითმე თანამეცხედრედ დაისვა ქაიხოსრო პირველი გურიელის ასული და გიორგი III გურიელის დაი დარეჯან ბატონიშვილი.

1664-1684 წ-ში წყალობით ადავსეს გურიელებმა დამოყვრებულნი, სამცხიდან ქვემო გურიაში ლტოლვილი თავდგირითნი, გიორგი III გურიელისაგან ებოძა მიზარბეგ თავდგირითეს მაჭუტაძის ყმა-მამული, აჭყვისთავს, ჭახათას, ჩაქვს, აცანასა და ქობულეთში. XVIII ს-ის დასასრულს თავდგირითთა კუთვნილება გახდა ბათუმის მხარე და გინო. მათვე დაისაკუთრეს გურიელთა თანხმობითა და ხელშეწყობით ბათუმის მხარე, ხინო-მისი საეპისკოპოსო კათედრალთა და სამწყსოთი...

(გაგრძელება იქნება) **მეხვერ გოგუაძე**

**განცხადებები**

**იყიდება კომპლექსი არგო - მიწა 700-კვ.მ, რუსთორანი 110-კვ. მ, საქორწილო დარბაზი 330-კვ.მ, მაღაზია 46-კვ. მ, . საბანკო - 50კვ. მ. კუპე 18კვ. მ . ფასი-175 000 ლოლარი**

**იყიდება (ქირავდება) ბინა პრიზოვოვის ქ. №21-ში I სართული 90 კვ. მ, რომელიც გააოიყენება საცხოვრებლად, კომერციული საქირობისათვის და საოფისედ.**

**\* \* \***

**იყიდება მიწა 9400 კვ. მ ქობულეთის ტრასაზე, ანასეულის გადასახვევიდან 400 მეტრის დაშორებით.**

**ტელ. 599 58 75 32.**

# პრემიერა „შექსპირმა“ დაგლიჯა!



დიდ პატივს ვცემ აზერბაიჯანელ ხალხს, მის კულტურას, ხელოვნებას, მაგრამ ნამდვილად არ მეგონა თუ ჩვენს მეზობელ და მეგობარ ქვეყანაში დრამატურგია ასეთ მაღალ დონეზე იდგა. ჩემი აზრით, ელჩინის „შექსპირი“ თანამედროვე დრამატურგიათაგან ერთ-ერთი მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა დაიწეროს თეატრალური ხელოვნებისათვის განკუთვნილი ნაწარმოები, ხოლო ოზურგეთის თეატრის მიერ ამ პიესის მიხედვით შექმნილი სპექტაკლი, რომლის პრემიერაც 4 აპრილს შედგა, იმის ნიმუშად გამოდგება, როგორ კეთდება შედეგრი ასეთი პიესიდან.

ჩემი ყურნალისტური პრაქტიკიდან გამომდინარე, სპექტაკლების რეცენზირებისას, გაზეთის ფურცლებზე რამდენჯერმე გამოითქვამს გულისტკივილი, რომ ხმაურისა და მყუდროების გვერდს 4 აპრილის შემთხვევაში უკან უნდა წავიღო ეს სიტყვები, რადგან მაყურებელმა სპექტაკლზე დასწრების მართლაც მაღალი კულტურა აჩვენა. რასაკვირველია ეს, ერთი მხრივ, იმითაც იყო განპირობებული, რომ პრემიერაზე სტუმრად იმყოფებოდნენ აზერბაიჯანის გენერალური საკონსულოს კონსული არზე ვ. მიქაილოვი და აზერბაიჯანის საზოგადოებრივი მაუწყებლის ყურნალისტები, მაგრამ მთავარი მაინც ის გახლდათ, რომ წარმოდგენამ ფარდის გახსნიდან და პირველივე მიზანსცენიდან გამომდინარე ცხოვრებაში ფაქტობრივად ჩაითრია ინტერესიანი მაყურებელი.

ვერც ვიკადრებ და ვერც შევძლებ, ამ სპექტაკლის გამომდინარე განსახიერებლებიდან გამოვარჩიო რომელიმე.

სცენაზე მცხოვრები რვა თანაბარი გიჟიდან არც ერთი არ ჰგავს ერთმანეთს და რომელიმეს უფრო მოწონების შემთხვევაში ნამდვილად დაირღვევა ის დინამიკა და ბალანსი, რაც მათ შორის არსებობს.

რადღა სათქმელი, როცა სამყაროს სარკმლიდან მოშორად სლემ-13-ს, რომელიც თავისი მეგობარი, დედამისა და დარჩენილი „შესანიშნავი შედეგისთვის“ შექსპირის ნაწარმოებებს ახევეს, სტალინი ევედრება – „მეტს აღარ დაგისახებ ამხანაგს, მეც წამიყვანეო“ და ყოფილი დიქტატორის ამ პათოსს ლამის პარტერიდან უერთდება ექსტაზში შესული მაყურებელი.

ბრაუო!!!

პრემიერა შედგა და მერე როგორი?! მოკლედ, ფარგონულად რომ ვთქვათ, „შექსპირმა“ დაგლიჯა! და ბოლოს, მართალია, აფიშებითა და სპეციალურად ამ პრემიერისათვის მომზადებული პროგრამით ცნობილი იყო შემოქმედებითი ვგუფი, რომელიც

მუშაობდა ამ სერიოზული და ტრავგიკული ერთობიდან კომედიანზე, მაგრამ რადგან, ჩემი ღრმა რწმენით, ეს ისეთი სპექტაკლია, რომელიც აუცილებლად დაიკავებს ადგილს ოზურგეთის ალ. წუწუნავას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის თითქმის ნახევარსაუკუნოვან ისტორიაში. ამიტომ, გაზეთი „ალიონი“, როგორც ოზურგეთის ყველა დროის მემკვიდრე, ვაღიარებულა გამოაქვეყნოს ამ შთამბეჭდავი მოვლენის შემქმელი გმირები. აი, ისინი:

სცენარის ავტორი – ელჩინი, აზერბაიჯანელი დრამატურგი, აზერბაიჯანის ვიცე-პრემიერი; დამდგმელი რეჟისორი და მუსიკალური გამგებები – თათარ კულაბაძე; მხატვარი – თამაზ დარჩია; ქორეოგრაფი – მარიკა ქვეთაია; რეჟისორის ასისტენტი – მაკა მამულაიშვილი.

მოქმედი პირნი და შემსრულებლები: ფსიქიატრიული მომსახურე პერსონალიდან: საავადმყოფოს მთავარი ექიმი – თემურ კვიციანი; ექიმი – ლია მარტიაშვილი; მომვლელი – გენადი ნიკოლაიშვილი.

ფსიქიატრიული პაციენტები: სლემ-13 – ლევან სალინაძე; სარა ბერნარი – შორენა გვეტაძე; ვენერელი – ივანე ჩხაიძე; ცოლ-ქმარი – ბელა კიკვაძე; სტალინი – ალექსანდრე ლომიძე.

სამხატვრო ხელმძღვანელი ვასო ჩიგოვიძე; თეატრის დირექტორი – ზაზა ჯინჭარაძე.

თქვენი მარშანიშვილი



## კულტურისა და დასვენების პარკის ბიბლიოთეკა კოკულარობას იძენს



ალიონი მწერალმა გიორგი კეკელიძემ კულტურისა და დასვენების პარკში 2 თვის წინ და-

დგა ბიბლიოთეკა და დიდი აქტიულობით სარგებლობს პარკის ვიზიტორებში, თან წიგნებით გვამარაგებს, ბოლო ჩამოსვლაზე თავისი გურული დღიურები და ჩემი თავგადასავალიც დაუტოვა გურულ მკითხველს სხვა წიგნებთან ერთად. ასევე გვსტუმრობს და წიგნებით გვამარაგებს „რადარამი“. ღია ბიბლიოთეკის მრავალფეროვნებაზე ასევე ზრუნავენ მონაწილეები საინტერესო წიგნებით. ღია ბიბლიოთეკის ზონა ბუნებაში ლიტერატურული განტვირთვის საუკეთესო საშუალებაა.

## „ალაგუთის“ ოსტატები კვლავ გვეწვევიან

ალიონი. 16-17 აპრილს ოზურგეთის სპორტის სასახლეში ტარდება ევრაზიის საერთაშორისო ტურნირი „ალაგუთში“ (აღმოსავლური ორთაბრძოლები) – ამის შესახებ გაზეთ „ალიონს“ აღმოსავლური ორთაბრძოლების ცნობილმა ოსტატმა, შავი ქამრის მფლობელმა ირაკლი ტულუშმა უთხრა. ამჯერად ოზურგეთში ჩამოვლენ ირანის, ინდოეთის, აზერბაიჯანის ძლიერი გუნდები. ბუნებრივია მასში ქართველი ოსტატებიც მიიღებენ მონაწილეობას.

ქართული ქორეოგრაფიის ამაღლარს, ბრწყინვალეების ორდენისანს, ანსამბლ „ეთესების“ სახელმძღვანელო, უამრავი გრან-პრის პტიზმის მფლობელს, ჩვენს მმრავ მორჩილამს ვილოცავთ დამადების დღეს – 14 აპრილს.

არ მოკლავთღეს ქვლთა სიმრავლე და ქართულმა ცხოვრებით.

ღმერთი იყოს მისი მფარველი!

მეგობრების სასკლით, ბახუტა ოთხმეფური.



## ისინი ყველა ინსტრუმენტს ფლობენ



ალიონი გრიგოლ კილაძის სახელობის ოზურგეთის მუსიკალური სკოლაში ხალხური შემოქმედების განვითარებას დიდი ყურადღება ეთმობა, მათ შორის ხალხურ საკრავების შესწავლას. ჩვენს მკითხველებს კარგად ახსოვთ ამ სკოლასთან არსებული ხალხურ საკრავთა ანსამბლი, რომელსაც საოცარი ხელოვანი, ქალაქის კოლორიტი ოური ჩიხლაძე ხელმძღვანელობდა.

სამი წელის მუსიკალურ სკოლასთან არსებულ ხალხურ საკრავთა ანსამბლს თამარ კვიციანი ჩაუდგა სათავეში და მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს. ისინი წარმატებით გამოვიდნენ სიღნაღში, დმანისში, ონი... მარშან ამ ანსამბლმა ქალაქ ქობულეთში გამართულ ხალხურ საკრავთა ფესტივალზე პირველი ადგილი დაიკავა. ახლანაჲ კი ასევე წარმატებით გამოვიდნენ ბათუმის კულტურის სახლში

გამართულ საქველმოქმედო კონცერტზე, რომლის ორგანიზატორი ფონდი „დედაენა“ იყო. კონცერტში აჭარის ცნობილი ანსამბლები მონაწილეობდნენ. ამ საქველმოქმედო კონცერტის შემოსავალი ფერის ბავშვთა სახლს გადაეცა.

ჩვენს ანსამბლში 20 ბავშვია. ისინი ყველა ინსტრუმენტს ფლობენ, მათ შორის აჭარულ ჭიბონს და სვანურ ჭურნირსაც. ვოკალურ მონაცემებს ხევენ და ისინი აკომპანიმენტთან ერთად მღერიან. ანსამბლი თანდათან მეტ პოპულარობას იძენს და გვაქვს მიწვევები. მათში ქალაქ ქობულეთში ხალხურ საკრავთა საერთაშორისო ფესტივალი გამართება, რომელშიც მონაწილეობას ლიტვის, სომხეთის და საქართველოს ანსამბლები მიიღებენ მონაწილეობას. ამჟამად ამ ფესტივალზე გამოსასვლელად ვემზადებით – გვითხრა თამარ კვიციანი.

## ავტომობილები განვადებით



„იმპორტი-2“ ვთავაზობთ ავტომობილების და სხვა სატრანსპორტო საშუალებების ტრანსპორტირებას აშშ, ევროპის და იაპონური (მარცხენა საჯე) სადილო კომპანიებიდან და აუქციონებიდან. ასევე ავტო განვადებას: პირველი შესატანი ღირებულების 40%, დარჩენილი თანხა გადაანწილება მაქსიმუმ 36 თვეზე. ასევე მოქმედებს შიდა 0% განვადება. უპრეცედენტოდ დაბალი ტარიფები მომსახურებაზე და ტრანსპორტირებაზე. უფასო კონსულტაცია.

ტელ. 595 11 10 30, ზურა, მისამართი: 26 მაისის ქ. № 11ა.

## 7 დღის ამინდის პროგნოზი

მზე, ღრუბალი +12+23 11 აპრილი ორშაბათი	წვიმა, +10+15 12 აპრილი სამშაბათი	წვიმა, +9+13 13 აპრილი ოთხშაბათი	წვიმა, +8+14 14 აპრილი ხუთშაბათი	მზე, ღრუბალი +10+20 15 აპრილი პარასკევი	წვიმა, +9+14 16 აპრილი შაბათი	წვიმა, +9+12 17 აპრილი კვირა
---	--------------------------------------	-------------------------------------	-------------------------------------	--	----------------------------------	---------------------------------